ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37220871**
თარიღი:**28/03/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე

მიმდინარე წლის 28 მარტს ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ”ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს:

წარმოდგენილი პროექტი თვისობრივად აუმჯობესებს ბიუჯეტის შესაბამისი ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნობრიობის კონტროლის შესაძლებლობებს;

გაზრდილია ცალკეული პროგრამის როგორც რაოდენობრივი(ლეიკემიით და ონკოდაავადებების მქონე პირების დახმარება), ისე ხარისხობრივი(აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია) განხორციელების პარამეტრები.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტი წარედგინოს საკრებულოს მისი დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი